

## პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა შექმნა უფლების მოპოვების გარეშე	
პროგრამის სახელწოდება:	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	Computer software
პროგრამის სახე:	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	061 - ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები
პარტნიორები:	
კვალიფიკაციის დონე:	3 - პროფესიული მომზადება
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	11
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	15
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	10
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	10
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	7
<b>პროგრამის აღწერა</b>	
<p>პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც სულ მცირე ფლობენ საბაზო განათლებას, უჭირთ სამსახურის მოძიება, ასევე სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ან თვითდასაქმებული პირებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ შეისწავლონ კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა. კურსის დასრულების შემდეგ მსმენელს ექნება ყველა საჭირო კომპეტენცია, რომელიც საშუალებას მისცემს გახდეს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რაც წარმატებული დასაქმებისა გარანტიაა. სასწავლო პროცესი წარიმართება 11 კვირის განმავლობაში, პროგრამის მოცულობაა 150 სთ. პროგრამის</p>	

განხორციელება დაგეგმილია კვირაში 5 დღე 2 და 3 საათიანი დატვირთვით. აღნიშნული პროგრამის სასწავლო პროცესი, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ნაწილი წარმართება დანესებულების ბაზაზე AB გარემოში, დღის მეორე ნახევარში.

მსმენელთა განმავითარებელი შეფასება ჩატარდება ყოველი სწავლის შედეგის დასრულების შემდეგ, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება ბოლო კვირაში.. (მე-11 კვირა)

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ, მსმენელს გადაეცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

### პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძენილი უნარებით შესძლებს პერსონალური კომპიუტერის პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

### დაშვების წინაპირობები

განათლება :საბაზო

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: 1. გასაუბრება

### სწავლის შედეგები

#### სხვა სწავლის შედეგები

1. სამუშაო მიზნების რეალიზებისათვის საჭირო IT ინსტრუმენტებისა და სისტემების გამოყენება
2. ოპერაციული სისტემის ინსტალაცია
3. ოპერაციული სისტემის გამართვა
4. გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია
5. ოპერაციული სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა
6. ქსელური ტექნოლოგიებისა და ქსელის ორგანიზების ძირითადი პრინციპების გარჩევა